პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 7 (3491) 11 1968 წ. იანვარი, ხუთშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

## ლიდერები და აუტსაიდერები

ჩვენი მიმომხილველი

„ურალმაშს" კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის გათამაშების ცხრილში ორი სარეკორდო გრაფა აქვს: სვერდლოვსკელებმა ყველაზე მეტი მატჩი ჩაატარეს და ყველაზე მეტჯერ იწვნიეს მარცხის სიმწარე. ასე რომ, დაკარგული ქულების მიხედვით გუნდი მტკიცედ ინარჩუნებს ბოლო ადგილს. მის უახლოეს მეტოქეს — ბაქოს „ბურევესტნიკს" პასივში მხოლოდ 9 ქულა აქვს.

და მაინც, 7 იანვრის მატჩის შემდეგ „ურალმაში" გათამაშების ცხრილში აზერბაიჯანის გუნდზე მაღლა დადგა: ამ დღეს ურალელებმა თავიანთ მოედანზე მოულოდნელად დაამარცხეს ტარტუს „კალევი" — 70:64. ეს შედეგი მოულოდნელი იყო მით უფრო, რომ წინა დღეს სტუმრებმა წარმატებას მიაღწიეს. „ურალმაშს" ახლა 2 ქულა აქვს, ბაქოს „ბურევესტნიკს" კი — 1. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ აზერბაიჯანის კალათბურთელებს გასვლითი მატჩების სერია ელოდებათ, ცხადი გახდება: დაბალ ლიგაში გადასვლის კანდიდატის საკითხი ჯერჯერობით ბურუსითაა მოცული. როგორც ჩანს, დავას ბოლოსდაბოლოს ამ ორი გუნდის შეხვედრა გადაწყვეტს.

რიგის ვეფ-ი, რომელსაც სატურნირო ცხრილში მისთვის შეუფერებელი IX ადგილი ეკავა, არდადეგების შემდეგ კიევს ეწვია და იქ 3 მატჩი გამართა (შედეგი არმიელებთან მეორე მატჩისა, რომელიც წუხელ გვიან დამთავრდა, ჯერ არ არის ცნობილი). ლატვიელი და უკრაინელი კალათბურთელების შეხვედრებში ანგარიში ჯერჯერობით მასპინძლების სასარგებლოდაა — 2:1 (ვეფ-მა „სტროიტელს" ერთი მატჩი მოუგო, მეორე — დათმო, ასკ-სთან კი რიგელები პირველ შეხვედრაში დამარცხდნენ — 66:73). მაგრამ „სტროიტელთან" მატჩში აღებულმა ერთმა ქულამ ვეფ-ი სატურნირო ცხრილში ორი საფეხურით მაღლა დააყენა.

თბილისის „დინამო" და კაუნასის „ჟალგირისი" ჯერჯერობით მოწინავე პოზიციებს ინარჩუნებენ. მათ ყველაზე მეტი (8-8) ქულა მოაგროვეს და ყველაზე ნაკლები (2-2) — დაკარგეს. ლიდერები დაკარგული ქულებით უახლოეს მეტოქეს — მოსკოვის ცსკა-ს 2 ქულით უსწრებენ.

გუშინწინ „ჟალგირისმა" ამხანაგური მატჩი გამართა სსრ კავშირის ნაკრებთან და, ბუნებრივია, წააგო — 56:94. მაგრამ ეს შეხვედრა მისთვის სასარგებლო ვარჯიში იყო, მით უმეტეს, რომ მორიგ კალენდარულ შეხვედრას ლიტველები ცსკა-სთან ატარებენ (მოსკოვში 17-18 იანვარს). თბილისის „დინამოს" პირველი მეტოქე ახალ წელს ლენინგრადის „სპარტაკი" იქნება. ეს მატჩები გაიმართება 14-15 იანვარს ლენინგრადში.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 10 | 8 | 2 | 796—695 | 8 |
| „დინამო" (თბილისი) | 10 | 8 | 2 | 740—658 | 8 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 12 | 7 | 5 | 867—835 | 7 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 12 | 7 | 5 | 806—789 | 7 |
| ასკ (კიევი) | 11 | 7 | 4 | 756—742 | 7 |
| ცსკა | 10 | 6 | 4 | 639—605 | 6 |
| ვეფ (რიგა) | 13 | 6 | 7 | 944—946 | 6 |
| „კალევი" (ტარტუ) | 12 | 6 | 6 | 750—764 | 6 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 10 | 5 | 5 | 630—622 | 5 |
| ასკ (რიგა) | 10 | 4 | 6 | 702—731 | 4 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 14 | 2 | 12 | 1022—1162 | 2 |
| „ბურევესტნიკი" (ბაქო) | 10 | 1 | 9 | 659—767 | 1 |

## წარმატებას ასეთი უნდა!

**ფოთი**, 10 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გუშინ აქ დამთავრდა 1950-51 წლებში დაბადებული ჭაბუკებისა და გოგონების საკავშირო ზონალური შეჯიბრება კალათბურთში. ბოლო დღეს ჩვენი გოგონების მეტოქეები უკრაინელები იყვნენ. საქართველოს გუნდმა მეტად დაძაბულ და საინტერესო ბრძოლაში მცირე უპირატესობით გაიმარჯვა — 55:54.

რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა დაამარცხა აზერბაიჯანის გუნდი — 49:24.

საქართველოს ჭაბუკებმა ფინალში მონაწილეობის უფლება, როგორც ცნობილია, წინა დღით გაინაღდეს. მიუხედავად ამისა, უკრაინელებთან მატჩი მათ მონდომებით ჩაატარეს და გაიმარჯვეს — 61:53.

აზერბაიჯანის გუნდმა დაამარცხა რსფსრ-ს ნაკრები — 73:56.

სატურნირო ცხრილში ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: **გოგონები**. 1. საქართველო 2. რსფსრ, 3. უკრაინა, 4. მოლდავეთი, 5. აზერბაიჯანი, 6. სომხეთი; **ჭაბუკები**. 1. საქართველო, 2. უკრაინა, 3. აზერბაიჯანი, 4. რსფსრ, 5. მოლდავეთი. I-II ადგილებზე გასულმა კოლექტივებმა ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიხვეჭეს.

ტურნირის შემდეგ მსაჯთა კოლეგიამ გაანაწილა სპეციალური პრიზები, რომლებიც ერგოთ: თბილისელ ლ. კოროვკინას (საუკეთესო თავდამსხმელს), მის თანაქალაქელ ი. ძიძიგურს (საუკეთესო თავდამსხმელს ჭაბუკებში), რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელს ვ. კრუგალს (საუკეთესო მცველს გოგონებში), უკრაინელ ე. მანდროვსკის (საუკეთესო მცველს ჭაბუკებში). ტურნირის საუკეთესო მოთამაშისთვის დაწესებული პრიზი გადაეცა თბილისელ ს. ყიფიანს. ყველაზე პერსპექტიული კალათბურთელისთვის განკუთვნილი პრიზი დაიმსახურა ზ. ჩუპამ (აზერბაიჯანი), საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელის ჯილდო კი თბილისელმა ნ. სტრუჟკინამ მოიპოვა. სამახსოვრო ჯილდო გადაეცა უკრაინელ ლ. შჩერბატიხსაც, როგორც შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეს.

ა. ლომაია.

◆ **ოტავა, 10 იანვარი.** სამშობლოში დაბრუნების წინ სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებმა აქ მატჩი გამართა კანადის აღმოსავლეთის პროვინციების ნაკრებთან, რომელიც ამ ქვეყნის ეროვნული გუნდის 6 მოთამაშით იყო გაძლიერებული. სტუმრები დამარცხდნენ — 2:8. საბჭოთა ჰოკეისტების ასეთი დიდი წაგება ნაწილობრივ შეიძლება იმით გავამართლოთ, რომ ისინი პირდაპირ აეროპორტიდან მოვიდნენ სათამაშოდ, მანამდე კი ჰაერში 5000 კმ იფრინეს.

◆ **ჰანოი, 10 იანვარი.** დამთავრდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატი. „ა" კლასის 16 გუნდის შეჯიბრება მიდიოდა ლოზუნგით: „შეკავშირებულნი დავამარცხებთ ამერიკელ აგრესორებს". სამხედრო დროის რთულ პირობებშიც კი ჩემპიონატმა ფეხბურთელთა მზარდი ოსტატობა და ამ სახეობის შემდგომი პოპულარობა გვიჩვენა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. I ადგილი დაიკავა არმიის ნაკრებმა. II ადგილზეა ჰაიფონის მილიციის გუნდი.

◆ **ამსტერდამი, 10 იანვარი.** ციგურებით სწრაფრბენაში მსოფლიო ჩემპიონები კეეს ფერკერკი და სტინ კაიზერი აღიარეს ჰოლანდიის 1967 წლის საუკეთესო სპორტსმენებად. ტრადიციული გამოკითხვის შედეგად მათ შეავიწროეს მსოფლიოს რეკორდსმენი ცურვაში ადა კოკი და სხვა სახეობათა წარმომადგენლები.

◆ **პარიზი,** 10 იანვარი. ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, ევროპის იუნიორთა რეკორდებად დამტკიცდება კონტინენტის არა უმეტეს 16 წლის მოცურავეთა პირველი ჩემპიონების შედეგები (შეჯიბრება გაიმართა შარშან აგვისტოში შვეციის ქალაქ ლინჩიოპინგში). 17 რეკორდიდან 6 საბჭოთა სპორტსმენებს ეკუთვნით. ესენი არიან: ი. გრივენიკოვი — 100 მ თავისუფალი სტილით — 56,3; ი. პოზდნიაკოვა — ბრასით 100 — 1.19,4 და 200 მ — 2.47,0; გ. დავიდოვი (ყველანი — მოსკოვი) — 200 მ გულაღმა — 2.16,2; ს. ივანოვი (ლვოვი) — 100 მ ბრასით — 1.18,5; ლ. გრებეცი (პოლტავა) — 100 მ თავისუფალი სტილით — 1.02,6.

## ორი ლამაზი გოლი

საინტერესო მატჩის მოწმენი გახდნენ ოჩამჩირელი მაყურებლები: აქ გაიმართა შეხვედრა თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდსა და სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრებს შორის.

თბილისელებმა შესანიშნავად ითამაშეს. მე-10 წუთზე ანგარიში გახსნა ჯანიაშვილმა, ხოლო მეორე ტაიმში ჯლარკავამ 30 მეტრიდან დაარტყა და მეორედ აიძულა ნაკრები ცენტრიდან დაეწყო თამაში. ორივე გოლი ლამაზად იქნა გატანილი.

ნაკრების თავდამსხმელმა კურაშინოვმა მხოლოდ ბოლო წუთზე შეძლო ერთი საპასუხო ბურთის გატანა. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს თბილისელებმა.

სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრები აქვე შეხვდა თბილისის „ლოკომოტივის" ჭაბუკთა გუნდს. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

რ. ჭედია.

ოჩამჩირე.

### მხოლოდ ტექნიკური შედეგები...

სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ჩემპიონატი. 9 იანვარი.

**ლენინგრადი.** „დინამო" (მოსკოვი) — „ნეფტიანიკი" (ბაქო) 3:1 (12:15, 15:11, 15:12, 15:13), „სპარტაკი" (მინსკი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 3:1 (15:13, 15:12, 10:15, 15:13), „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — „ბურევესტნიკი" (ოდესა) 3:2 (15:12, 13:15, 15:2, 13:15, 15:10).

**ხარკოვი.** ცსკა — „სპარტაკი" (ხარკოვი) 3:0 (15:4, 15:10, 15:10), „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „დაუგავა" (რიგა) 3:0 (15:13, 15:11, 15:4), „ბურევესტნიკი" (კიევი) — „სპარტაკი" (ირკუტსკი) 3:2 (15:13, 15:11, 13:15, 10:15, 15:5).



ამას წინათ ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში ჩატარდა თბილისის პირადი პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში. ოსტატთა თანრიგით წარმატებით გამოვიდა თბილისის 52-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ლ. ზინკოვა (მწვრთნელი ნ. სალუქვაძე), რომელმაც 50,4 ქულით პირველად მოიპოვა დედაქალაქის ჩემპიონის წოდება. II ადგილზე 49,1 ქულით გავიდა უნივერსიტეტის სტუდენტი დ. ჯაფარიძე (მწვრთნელი ნ. ბარათაშვილი). III ადგილი წილად ხვდა მოსწავლე მ. ვიშნიაკოვას — 48,65 ქულა.

პირველთანრიგოსნებში ყველას აჯობეს ე. ბუშინსკაიას აღსაზრდელებმა ე. მოდრეკელიძემ და ი. კაჩენოვსკაიამ. ორივე სპორტსმენმა ქულათა თანაბარი რაოდენობა (43,4) მოაგროვა და I-II ადგილები გაიყო. III ადგილი წილად ხვდა გ. კოსარევას.

მეორეთანრიგოსნებში თავი ისახელეს სპორტის ოსტატ ნ. ხერხეულიძის აღსაზრდელებმა და საპრიზო ადგილებიც მათ დაისაკუთრეს, ესენი არიან: 1. ნ. ფრიდონოვა, 2. ვ. არიშინა, 3. ც. კოკელაშვილი.

სურათზე: ლ. ზინკოვა საგნით ვარჯიშის დროს.

ტექსტი და ფოტო ი. იუნაევისა.

## ფიდე-ს სამდივნო იუწყება

**მ**სოფლიოს [illegible] პრეტენდენტთა მატჩების ჩატარება სურთ სსრ კავშირის, აშშ-ს, დანიისა და ბულგარეთის ფედერაციებს. ამ საკითხზე გადამწყვეტი სიტყვა ფიდე-ს პრეზიდენტ ფ. როგარდს (შვეცია) ეკუთვნის.

**პრეზიდენტმა** მოიწონა საერთაშორისო ოლიმპიადისთვის მოსამზადებელი მუშაობა, რომელიც შვეიცარიის საჭადრაკო ფედერაციამ ჩაატარა. ოლიმპიადა გაიხსნება 17 ოქტომბერს ლუგანოში. მთავარ არბიტრად დანიშნულია დოქტორი დორაზილი (ავსტრია), მოადგილედ — დე გრააფი (ჰოლანდია). ოლიმპიადის რეგლამენტში ამიერიდან ერთი არსებითი ცვლილებაა: ფინალისტები, რომლებიც ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს, მეორედ უკვე აღარ ითამაშებენ — ჩაეთვლებათ ნახევარფინალის შედეგი.

**ევროპის** ვაჟთა I ჩემპიონატი ჩატარდება 1969 წლის პირველ ნახევარში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. სტუდენტთა 1968 წლის გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება ავსტრიაში, ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი —1969 წელს შვეციაში, ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადა — 1969 წელს პოლონეთში.

**ფიდე** მფარველობას გაუწევს დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირს, რომელიც წლეულს გდრ-ში მოეწყობა ე. ლასკერის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად.

**VIII საზონათშორისო** ტურნირის (1970 წ.) ჩატარება ფიდე-მ ესპანეთის საჭადრაკო ფედერაციას დაავალა, უარის შემთხვევაში მას ჰოლანდია გამართავს.

**პრეზიდენტს** მომწიფებულად მიაჩნია წლეულს გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება. ტურნირში 14 გოგონას (20 წლამდე) მონაწილეობას ვარაუდობენ, ოღონდ ერთი ქვეყნიდან არ უნდა იყოს ორზე მონაწილეზე მეტი.



# ზანგი სპორტსმენები არ მონ...

ნიუ-იორკი, 10 იანვარი. ნიუ-იორკის ათლეტური კლუბის ზამთრის ტრადიციულ მძლეოსნურ თამაშებში წლეულს ზანგი სპორტსმენები მონაწილეობას არ მიიღებენ. ბევრმა ზანგმა მძლეოსანმა უარი თქვა კლუბის მიწვევაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. ამას გვაუწყებს პროფესორი ჰ. ედვარდსი, ოლიმპიური თამაშების ბოიკოტის ორგანიზატორი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ნიუ-იორკის მძლეოსნური კლუბი კარგა ხანია ცნობილია, როგორც რასიზმისა და ანტისემიტიზმის ციტადელი. დაარსების დღიდან მისი წევრი არ ყოფილა არც ერთი ამერიკელი ზანგი სპორტსმენი, თუმცა მათ ბევრჯერ გაუთქვამთ სახელი ამ კლუბისთვის. ამ დღეებში ათლეტურმა კლუბმა წევრობაზე უარი უთხრა პუერტორიკოელ ზანგს რიკარდო

ურბინს, აშშ-... სტუდენტთა ...

როგორც ... გარდენის“ ... სნის დღეს — ... პიკეტები მ... რების ბოიკ... ლი ორგანი...

ედვარდსმა ... პიური თამაშ...

სპორტში ... მიმართული ... თა შორისაც ... სის“ პროფე... ჯგუფმა გამ... ტესტს უცხ... კლუბში.

# მათ მალე იხილავს ვესტეროსი

ევროპის, მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები, ლენინგრადელები ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი სათავეში უდგანან იმ საბჭოთა ფიგურისტების სიას, რომლებიც ევროპის პირველობაში მიიღებენ მონაწილეობას. შეჯიბრება შვეციის ქალაქ ვესტეროსში გაიმართება 24-28 იანვარს.

სსრ კავშირის ფიგურული ციგურაობის ფედერაციამ ქვეყნის ახლახან დამთავრებული ჩემპიონატის შედეგების მიხედვით დაასახელა კონტინენტის პირველობის მონაწილენი წყვილთა სრიალშიც. ესენი არიან ლენინგრადელი თ. მოსკვინა და ა. მიშინი, ახალგაზრდა მოსკოველი სპორტსმენები ი. როდნინა და ა. ულანოვი. ყინულზე მოცეკვავეთა საბჭოურ სკოლას წარმოადგენენ მოსკოველები ი. გრიშკოვა და ვ. რიჟკინი, ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი. ერთეულთა სრიალში იასპარეზებენ მოსკოველები გ. გრჟიბოვსკაია, ე. შჩეგლოვა და ს. ჩეტვერუხინი, ლენინგრადელი ვ. კურენბინი და ქვეყნის ნაკრების დებიუტანტი ს. ვოლკოვი (მოსკოვის ოლქი).

# პირველი სტარტები აფრიკაში

**ამას წინათ შორეული ეთიოპიიდან დაბრუნდა საბჭოთა ავტომობილისტების ნაკრები გუნდი, რომელიც პირველად მონაწილეობდა აფრიკის მიწაზე გამართულ IV საერთაშორისო ავტორალიში. ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტმა სთხოვა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელს ა. იპატენკოს მოეთხრო ამ შეჯიბრების შესახებ.**

— ეთიოპია თავისი ბუნებრივი და კლიმატური პირობებით ძალიან მოსახერხებელია მრავალფეროვანი საგზაო-საავტომობილო შეჯიბრებებისთვის, — თქვა იპატენკომ. — ტრასა ავტორალისა, რომელშიც ჩვენ ვმონაწილეობდით, ზღვის დონიდან 2-3 ათას მეტრზე იყო გადაჭიმული და ქვეყნის 5 პროვინციას მოიცავდა. 1.400-კილომეტრიანი დისტანცია სასოფლო გზებსა და გზატკეცილებზე გადიოდა, 1.600 კმ კი უგზო იყო. განსაკუთრებით უჭირდათ მძღოლებს ღამით, როცა ორიენტირების არავითარი საშუალება არ იყო, მათ კი მოცემული სიჩქარე უნდა შეენარჩუნებინათ და დიდი მანძილი 56 საათში გაევლოთ.

ტურნირში სხვადასხვა მარკის მანქანების 32 ეკიპაჟი მონაწილეობდა. მანქანების ძრავის მოცულობის მიხედვით ეკიპაჟები ხუთ კლასად დაყვეს. ეთიოპიის ტურნირის ტრადიციული მონაწილენი იყვნენ ფრანგული „პეჟოსა“ და „რენოს“, იაპონიის „ტაიოტოს“, დასავლეთგერმანული „ფოლკსვაგენის“, „მერსედესისა“ და „ოპელის“ ეკიპაჟები. სსრ კავშირი სერიული წარმოების „ვოლგა-21“-თა და „მოსკვიჩით“ იყო წარმოდგენილი. საბჭოთა ავტომობილისტები იმ თოთხმეტის რიცხვში აღმოჩნდნენ, რომლებმაც წარმატებით განვლეს მთელი ტრასა და საკონტროლო დრო იკმარეს. დანარჩენი 18 ეკიპაჟი ფინიშთან ვერ მივიდა: ზოგს მანქანის ნაწილები დაუზიანდა, ზოგს ავარია შეემთხვა, ზოგმა მოძრაობის კურსი დაკარგა.

ტურნირის გზააბნეულ მონაწილეებს სპეციალური შვეულმფრენები ეძებდნენ ძარის თავზე გამოყვანილი ამოსაცნობი ნიშნებით. შეჯიბრებას ისიც ართულებდა, რომ გამუდმებით წვიმდა და დისტანციის ზოგი მონაკვეთი გაუვალი გახდა. ტურნირის ორგანიზატორები იძულებული შეიქნენ ეს მონაკვეთები ჩათვლიდან ამოეღოთ.

სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ საბჭოთა წარმოების სერიულმა მანქანებმა აფრიკის კონტინენტის ძნელადსავალ გზებზე გამოცდა ჩინებულად ჩააბარეს. ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბების ავტოსპორტის მოყვარულებმა ნამდვილი ოვაცია გაუმართეს საბჭოთა ავტომობილისტებს, როცა ისინი ფინიშთან მივიდნენ. საბჭოთა მანქანები ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე იყო გამოფენილი.

ეთიოპიის ტურნირში მონაწილეობით საბჭოთა ავტომობილისტებმა წარმატებით დაამთავრეს საიუბილეო წლის სპორტული სეზონი. წლეულს ახალი სტარტები გველის უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში.

# თასები ახალ პატრონებს

შარშანწინ სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ წამოაყენა წინადადება, რომ სეზონის უდიდესი შეჯიბრებების შედეგების მიხედვით დაედგინათ უძლიერესთა ვინაობა სამთოსათხილამურო სპორტში, დააწესეს სპეციალური პრიზიც კი — მსოფლიოს თასი.

თასის პირველი მფლობელები შარშან გამოვლინდნენ. ქალებში ეს იყო კანადელი ნანსი გრინი, რომელმაც 176 ქულა დააგროვა. გიგანტურ სლალომში მან სეზონის საერთო პირველობა მოუგო თასისთვის მებრძოლ 37 მოთხილამურეს. გრინი მესამე გახლდათ სპეციალურ სლალომში და მეხუთე — სწრაფდაშვებაში. მას 4 ქულით ჩამორჩა ფრანგი მარიელ გოიჩელი, რომელმაც თანამემამულე ა. ფამოზთან გაიყო პირველობა სპეციალურ სლალომში, მოიგო სწრაფდაშვება და IV ადგილზე გავიდა გიგანტურ სლალომში. ფამოზი საბოლოოდ III ადგილს დაჯერდა — 158 ქულა.

ვაჟებში ფრანგი ჟან-კლოდ კილი... უპირატესობა უდავო იყო. მას ვერ... ერთ სახეობაში ვერ შეეცილნენ პირ... ველობას. საბოლოოდ კილის 225 ქუ... ლა დაუგროვდა, მეორე პრიზიორი — ავსტრიელი ე. მესნერი კი 11... ქულას დაჯერდა. გ. პერია (საფრან... გეთი) მესნერს 6 ქულით ჩამორჩა დ... თასისთვის მებრძოლ 47 სპორტსმენ... ში III ადგილზე დარჩა.

წლევანდელ ზამთრის სეზონში თასი მეორედ გათამაშდება. დაიხვეწ... ასპარეზობის დებულებაც. ყველა შე... ჯიბრებაში კონკურსში მონაწილეობა... მიიღებენ ცალკეულ სახეობებში I-I... ადგილებზე გასულნი. ლიდერს დაეწ... რება 25 ქულა, II ადგილზე მყოფ... — 20... X ადგილზე მყოფ მოთხილამურეს — 1 ქულა.

ვაჟებისთვის გიგანტურ სლალომში პირველი შეხვედრები 3-4 იანვარს გაიმართა გფრ-ის ტრასებზე. ვაჟთა მეორე ჯგუფი 7-8 იანვარს ამავე სახეობაში ბადენ-ბადენში ასპარეზობ...

# ინსბრუკში — უნივერსიადაზე

**ავსტრიის ტიროლის ცენტრი — ქალაქი ინსბრუკი ახლაც ისევე ღელავს, როგორც ამ ოთხი წლის წინათ, როცა ზამთრის IX ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი იყო. იანვრის მეორე ნახევარში აქ გაიმართება მსოფლიოს სტუდენტთა ფესტივალი სპორტის ზამთრის სახეობებში — თეთრი უნივერსიადა.**

**საბჭოთა სტუდენტები გულმოდგინედ ემზადებიან ინსბრუკის უნივერსიადისთვის. სწორედ ამაზე ესაუბრა ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტს მ. ზასლავსკის სტუდენტთა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ი. გენეროზოვი.**

● **როდის გაიმართება უნივერსიადა და როგორია მისი პროგრამა?**

— სტუდენტთა ზამთრის თამაშები ინსბრუკში 17 იანვარს დაიწყება ჰოკეისტთა ტურნირით და 29 იანვარს დამთავრდება. უნივერსიადის პროგრამა საკმაოდ ფართოა. იგი ერთის მხრივ ჩამორჩება გრენობლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამას, მაგრამ მეორე მხრივ აღემატება კიდეც მას.

მაგალითად, ციგურებით სწრაფრბენაში ჩემპიონთა ტიტული ოთხივე დისტანციაზე გათამაშდება, ამასთან, გამოვლინდება გამარჯვებული მცირე მრავალჭიდშიც. თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ აქ მხოლოდ ვაჟები იასპარეზებენ. სხვადასხვა ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენი ქალები ემზადებიან თავიანთი მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც იანვრის ბოლოს ჰელსინკში გაიმართება.

მოთხილამურეთა შეჯიბრების პროგრამაში შედის რბოლა 15 კილომეტრზე და ესტაფეტა 4×10 კილომეტრზე ვაჟებისთვის, ქალებისთვის — რბოლა 10 კილომეტრზე და ესტაფეტა 3×5 კილომეტრზე. ინსბრუკში ერთმანეთს შეეჯიბრებიან ტრამპლინიდან მხტომელები და ორჭიდელები. სამთომოთხილამურეები იასპარეზებენ სლალომში, გიგანტურ სლალომსა და სწრაფდაშვებაში. გარდა ამისა, გაიმართება ქალთა და ვაჟთა შეჯიბრებები ალპიურ სამჭიდში.

ფიგურისტთა პროგრამაში შედის ყველა სახეობა (მათ შორის, ყინულზე ცეკვაც, რომელშიც გრენობლში შეჯიბრება არ გაიმართება). ჰოკეისტთა ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის, კანადის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციის, აშშ-ს, ფინეთისა და უნივერსიადის მასპინძლის — ავსტრიის გუნდები.

● **რომელი ქვეყნები მონაწილეობენ თეთრ უნივერსიადაში?**

— როგორც ჩვენთვის ცნობილია, ინსბრუკში გამოსვლის სურვილი დაადასტურა მსოფლიოს ოთხი კონტინენტის 39 ქვეყანამ. მათ შორის არიან ავსტრია, ბულგარეთი, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, უნგრეთი, ჰოლანდია, დანია, იტალია, ესპანეთი, ლუქსემბურგი, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, სსრ კავშირი, თურქეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გფრ, ჩეხოსლოვაკია, შვეიცარია, შვეცია, იუგოსლავია, ავსტრალია, ახალი ზელანდია, კანადა, აშშ, ლიბანი, იაპონია და სხვ.

● **როგორია სსრ კავშირის გუნდი?**

— საბჭოთა სტუდენტებს განზრახული აქვთ იასპარეზონ უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სახეობაში, გარდა ყინულზე ცეკვისა. გუნდში შედის 59 სპორტსმენი, 8 მწვრთნელი და 6 მსაჯი. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენ ინსბრუკში ვარსკვლავები როდი მიგვყავს. საუკეთესო საბჭოთა სპორტსმენები, მათ რიცხვში, სტუდენტებიც, ოლიმპიურ გუნდში შედიან და გრენობლისთვის ემზადებიან. მოხარული ვართ, რომ ჩვენი სტუდენტური სპორტული ახალგაზრდობა ძალას ცდის ამ საინტერესო საერთაშორისო შეჯიბრებებში და სხვადასხვა კონტინენტის ახალგაზრდა სპორტსმენებს დაუახლოვდება.

ჩვენი გუნდის თითქმის ყველა წევრი სპორტის ოსტატია. მათ შორის არიან საერთაშორისო კლასის ოსტატებიც. დავასახელებ რამდენიმეს: აი, მოციგურავეები ვ. ლავრუშკინი და ა. ჩეკულაევი, ფიგურისტები ვ. კურენბინი, ვ. სერებ... როვსკი, ტ. შარანოვა და ა. ევდო... კიმოვი, მოთხილამურეები ა. სილ... ევი, ა. ზახაროვი, ლ. დორონინა... ე. ელისტრატოვა და სხვ.

საბჭოთა გუნდი უკვე მეხუთე... მიიღებს მონაწილეობას უნივერ... სიადაში და ვიმედოვნებთ, რომ... ახლაც წარმატებით იასპარეზებს.

● **ფართოდაა წარმოდგენილ... ჩვენს გუნდში სტუდენტთა სპორ... ტული კლუბები?**

— დიახ, ძალიან ფართოდ. გუნდ... ში მარტო „ბურევესტნიკის“ წარ... მომადგენლები როდი არიან. ნაკ... რებში შედიან სხვადასხვა უმაღლე... სი სასწავლებლის სტუდენტებ... რომლებიც „სპარტაკის“, „ლოკო... მოტივის“, „დინამოსა“ და სხვ... სპორტსაზოგადოებების წევრებ... არიან. ინსბრუკში წავლენ მოსკო... ვის, ლენინგრადის, სვერდლოვსკი... ჩელიაბინსკის, გორკის, კიროვ... ყაზანის, პერმის, ჩიტის, კრასნო... იარსკის, კემეროვოსა და ალმა-ათ... სტუდენტი სპორტსმენები. რაც შე... ეხება ჰოკეისტების გუნდს, მის ძ... რითად ბირთვს წარმოადგენენ კი... ვის ფიზკულტურის ინსტიტუტ... სტუდენტები, რომელთაგან ბევრ... თამაშობს კიევის „დინამოში“.

● **უნივერსიადის პროგრამა მარ... ტო შეჯიბრებებით არის შემოფა... გლული?**

— რასაკვირველია, არა. უნივე... სიადის დროს ინსბრუკში გაიმა... თება სპორტული დღესასწაულებ... კარნავალები, შეხვედრები სხვად... სხვა ეროვნულ დელეგაციასთან ... სხვ. ფისუ-ს აღმასკომი თავ... სხდომაზე განიხილავს სტუდენტ... მორიგი საზაფხულო თამაშების ჩ... ტარების საკითხს.

ავსტრიას საერთაშორისო შეჯი... რებების ჩატარების დიდი გამო... დილება აქვს. ინსბრუკში, მაგალ... თად, კარგად ჩატარდა 1964 წლ... ზამთრის ოლიმპიური თამაშებ... ქალაქში და მის შემოგარენში ... სანიშნავი ოლიმპიური სპორტულ... ნაგებობები, მოთხილამურეთა ... სამთომოთხილამურეთა ტრასებ... ვიმედოვნებთ, რომ 1968 წლ... თეთრი უნივერსიადა წარმატებ... ჩაივლის.



დაიმახსოვრეთ ამ გოგონას სახე, — მისი სურათი კიდევ ბევრჯერ დაიბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში. მოსკოველმა ჩოგბურთელმა ოლღა მოროზოვამ უკვე აალაპარაკა ჩოგბურთის სპეციალისტები. პირველი დიდი გამარჯვება მან თბილისის შარშანდელ საერთაშორისო შეჯიბრებაში მოიპოვა, როცა ჩამოიტოვა საბჭოთა ჩოგბურთის ლიდერები გ. ბაკშეევა და ა. დმიტრიევა. ახლახან, მოსკოვის ლია ტურნირში, მოროზოვამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი უძლიერესთა შორის ადგილის დამკვიდრება. ამჯერად მან ფინალური მატჩი მოუგო თანაქალაქელ ა. დმიტრიევას.

ფოტო მ. შოშიაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილეობენ

...ემპიონს ნახევარ მილზე რბენაში ...რის.

...რდსმა განაცხადა, „მედისონ სკვერ ...ის სახახლის წინ შეჯიბრების გა- ...თებერვალს ზანგი სპორტსმენების ...ობა. ათლეტური კლუბის შეჯიბ- ...ხარს უპერს ზანგების ყველა მსხვი- ...ა.

...ა, რომ ეს გადაწყვეტილება ოლიმ- ...ბოიკოტის ნაწილია.

...ბრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ...პროტესტო მოძრაობა პროფესიონალ- ...რცელდა. „სენტ ლუის კარდინალ- ...ლი კლუბის ზანგ ფეხბურთელთა ...უნა განცხადება, რომლითაც პრო- ...ზანგების დისკრიმინაციას თავის

## ...ელოდება

...და. 13-14 იანვარს შვეიცარიაში (ლიუ-ბერჰორნი) ჩატარდება შეჯიბრება სპეციალურ სლალომსა და სწრაფდაშვებაში, 20-21 იანვარს კი მოთხილამურეები ავსტრიას ეწვევიან: კიტცბიულსა და ჰანენკამში გაიმართება ტურნირი სპეციალურ სლალომსა და სწრაფდაშვებაში, 28 იანვარს კი ზოდენაში (იტალია) სპეციალურ სლალომში ჩატარდება ასპარეზობა. 8-17 თებერვალს კი ყველა გრენობლში, თეთრ ოლიმპიადაზე მოიყრის თავს. შემდეგ თასის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები გაგრძელდება: 23-24 თებერვალს ოსლოში (სპეციალური და გიგანტური სლალომი), 23 თებერვალს — შამონიში (სწრაფდაშვება), 9-10 მარტს — მარიბორში (გიგანტური სლალომი), 10 მარტს — იუგოსლავიაში (სპეციალური სლალომი), 15-17 მარტს — აშშ-ში (სპეციალური სლალომი და სწრაფდაშვება), 30-31 მარტს — კანადაში (სპეციალური და გიგანტური სლალომი), ბოლოს, 5-7 აპრილს აშშ-ში — სპეციალური და გიგანტური სლალომი.

ქალები გრენობლში, ოსლოში, ჰიველინსა და ასპენში (აშშ), როსლანდში (კანადა) და შამონიში ვაჟებთან ერთად იასპარეზებენ. ამას გარდა, 10-12 იანვარს ისინი გრინდელვალდში სპეციალურ სლალომსა და სწრაფდაშვებაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს, 17-18 იანვარს კი ავსტრიაში გამოვლენ ამავე სახეობებში; 25-27 იანვარს მათთვის სენ-ჟერვაზში (საფრანგეთი) გაიმართება შეჯიბრება სპეციალურ და გიგანტურ სლალომში, ხოლო 9-10 მარტს იტალიაში იასპარეზებენ სპეციალურ სლალომსა და სწრაფდაშვებაში. ქალთა ასპარეზობის პირველი ტური ობერშაუფენში (გფრ) მოეწყო 5-6 იანვარს. ტურნირი გაიმართა სპეციალურ და გიგანტურ სლალომში.



X თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქ გრენობლის მერი დიუბედუ ამას წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიწვიეს. მან იქ მეუღლესთან ერთად იმოგზაურა.

სურათზე: მუნიციპალიტეტის წევრებმა სტუმრებს გულითადი შეხვედრა გაუმართეს, რომლის დროსაც სადღესასწაულოდ მიართვეს ლოს-ანჟელოსის გასაღები.

## დუმილი — დოლარები

სტოკჰოლმი, 9 იანვარი. შვეციის ჰოკეისტთა ეროვნული ნაკრები კანადიდან სამშობლოში რომ დაბრუნდება, მის მოთამაშეებს უბრძანებენ, რომ „ენას კბილი დააჭირონ". როგორც იუპი-ს კორესპონდენტი გვატყობინებს, ასეთი უჩვეულო განკარგულების სათავე შვეციის ჰოკეისტთა ეროვნული ასოციაციაა. საქმე ისაა, რომ ტურნეს დროს ნაკრების მოთამაშეები ლ. ჰოლმკვისტი, ლ. სვედბერგი, ტ. ლუნდსტრემი და ლ. ნილსონი კანადის პროფესიულმა კლუბებმა მიიწვიეს თავიანთ გუნდებში. შვედები მზად არიან მიიღონ ეს წინადადება... თეთრი ოლიმპიადის შემდეგ.

ასოციაციამ განაცხადა, რომ თუ მის ყურამდე მივიდა რაიმე ოფიციალური ცნობა პროფესიულ კლუბებთან მოლაპარაკების შესახებ, ამ მოთამაშეებს დისკვალიფიკაცია მიეცემათ და გრენობლის ოლიმპიურ ტურნირში მონაწილეობა აეკრძალებათ, ვინაიდან პროფესიონალთა რიგებში გადასვლა თუნდაც თამაშების შემდეგ ეწინააღმდეგება ოლიმპიურ სტატუსს.

Xes JEUX OLYMPIQUES D'HIVER GRENOBLE 1968

## ორჭიდელები გრენობლისთვის ემზადებიან

სსრ კავშირის ორჭიდელები ინსბრუკის თეთრ ოლიმპიადაში საკმაოდ კარგად გამოვიდნენ: ნ. კისელიოვმა ვერცხლის მედალი მოიპოვა, ნ. გუსაკოვი მეოთხე იყო. უძლიერესთა ათეულში შევიდა ვ. დრიაგინიც. მაგრამ ოლიმპიური თამაშების შემდეგ სსრ კავშირის ორჭიდელთა ეროვნულ ნაკრებში მალე მოხდა თაობათა ცვლა. ძველებმა მწვრთნელობას მოჰკიდეს ხელი, მეორე შემადგენლობის წარმომადგენლები კი, რომლებმაც ისინი შეცვალეს, ბუნებრივია, სათანადოდ გამოცდილი და დაოსტატებული არ იყვნენ. ამიტომ სპეციალისტებისთვის მოულოდნელი როდი გახლდათ სსრ კავშირის ორჭიდელთა მოკრძალებული შედეგები 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატში (ჰოლმენკოლენი). მაშინ ჩვენებიდან საუკეთესო იყო V ადგილზე გასული ბ. ჩერიომუხინი, ი. სმირნოვმა VI, ე. ლოგინოვმა კი X ადგილი დაიკავა.

შარშან განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. საბჭოთა ორჭიდელები დიდ საერთაშორისო ტურნირებში კვლავინდებურად უძლიერესთა ათეულში ხვდებოდნენ, მაგრამ პირველ ადგილზე ვერ გადიოდნენ. თუმცა იყო რამდენიმე სასიამოვნო გამონაკლისიც. ლებროსუს (შვეიცარია) ტრადიციულ შეჯიბრებაში ესტონელმა ტ. ჰალიანდმა სათხილამურო ორჭიდის ბევრ ვარსკვლავს მოუგო და III საპრიზო ადგილი დაიკავა. შარშან გამოირჩეოდა 25 წლის ე. ლოგინოვიც, რომელმაც სსრ კავშირის ზამთრის სპარტაკიადა მოიგო. იგი თანაბრად ძლიერია რბოლაშიც და ხტომაშიც.

სათხილამურო ფედერაციის უფროსმა მწვრთნელმა ტრამპლინიდან ხტომასა და ორჭიდში ე. რუდკოვსკიმ 10 უძლიერესი სპორტსმენი შეარჩია სსრ კავშირის შარშანდელი პირველობის შედეგების მიხედვით. მათ შორისაა 19 წლის ი. ჟუკოვი, ქვეყნის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი. მტკიცე ნებისყოფისა და შესანიშნავი ფიზიკური მონაცემების მქონე ამ ნიჭიერ ორჭიდელს, სამწუხაროდ, ჯერჯერობით საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილება არა აქვს.

მოწინავე ორჭიდელებმა ამ ზაფხულს ინდივიდუალური დავალებები მიიღეს. ინსბრუკის ოლიმპიადისთვის მოსამზადებელ პერიოდთან შედარებით საწვრთნელი პროგრამა საგრძნობლად გაიზარდა როგორც მოცულობით, ისე ინტენსიობით. ამას წინათ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მოწინავე ორჭიდელს ჩერიომუხინს ვესაუბრე: ჩან მიამბო, როგორ ემზადებოდა წლევანდელი სეზონისთვის. ჩერიომუხინმა, პირველ ყოვლისა, საერთო ფიზმომზადების მოცულობა გაზარდა: მეტს ვარჯიშობდა მძლეოსნობაში, ცურვაში, ძალოსნობაში, კალათბურთში, თანაც, ვარჯიშობდა ისე, რომ დიდ და მცირე ინტენსიობას უნაცვლებდა ერთმანეთს. განსაკუთრებულ ყურადღებას ტანვარჯიშს აქცევდა და, რა თქმა უნდა, არც ხელოვნურსაფარიან ტრამპლინზე წვრთნა დავიწყებია.

სხვა ორჭიდელებიც თითქმის ამგვარად ვარჯიშობდნენ ზაფხულში. მხოლოდ ის იყო, ერთნი რბენის ტექნიკას უთმობდნენ მეტ ყურადღებას, მეორენი — ხტომისას, იმ ამოცანებიდან გამომდინარე, რომლებიც ეროვნული ნაკრების მწვრთნელებმა მათ დაუსახეს.

— წლევანდელმა ზამთარმა გვიღალატა, — ამბობს რუდკოვსკი. — ოქტომბერ-ნოემბერში სავარჯიშოდ ზლატოუსტსა და ნიჟნი ტაგილში შევიკრიბეთ, მაგრამ თოვლი დიდხანს არ ჩანდა, შემდეგ ლენინგრადში გადავინაცვლეთ, სადაც უძლიერეს ორჭიდელთა საკავშირო პირადი შეჯიბრება და ოლიმპიური გუნდების მატჩი გაიმართა. პირველ ტურნირში იმარჯვეს ლოგინოვმა, ჰალიანდმა და ჩერიომუხინმა, მეორეში უძლიერესნი იყვნენ მ. არტიუხოვი, ა. ნოსოვი და ი. სიმონოვი. მე ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვარ და ჩემს წინაშე დგას ძნელი ამოცანა: დავასახელო ოთხი ძირითადი და ერთი სათადარიგო ორჭიდელი. ვიმედოვნებ, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტაში დამეხმარება სსრ კავშირის პირადი პირველობა, რომელიც სულ მალე ჩატარდება ვორონეჟში.

ქვეყნის ჩემპიონატის შემდეგ ის საუკეთესო ორჭიდელები, რომლებიც ოლიმპიურ ნაკრებში შევლენ, გფრ-ში გაემგზავრებიან საერთაშორისო შეჯიბრებაში საასპარეზოდ. ამ ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ გფრ-ის, პოლონეთის, იტალიის, შვეიცარიისა და, შეიძლება, სკანდინავიის ქვეყნების სპორტსმენებიც.

— ეჭვი არ არის, — ამბობს რუდკოვსკი, — რომ გფრ-შიც და გრენობლშიც ფავორიტები ნორვეგიელი ორჭიდელები იქნებიან. განსაკუთრებით სახიფათო მეტოქეები არიან მ. სვენსენი და მ. დობლუნგი, რომლებიც ბოლო ხანს სტაბილურ შედეგებს აჩვენებენ და თანაბრად ძლიერნი არიან როგორც რბოლაში, ისე ხტომაში. საინტერესოა, რომ ნორვეგიელი ორჭიდელები სეზონისთვის ავსტრალიაში ემზადებოდნენ. ისინი ფუჭად არ დაკარგავდნენ დროს ასე შორი მოგზაურობისათვის. ავსტრალიაში არა მარტო წვრთნის იდეალური პირობებია, არამედ გამოცდილი დამრიგებლებიც არიან.

სხვა უცხოელი მეტოქეებიდან ე. რუდკოვსკი გამოყოფს ფ. კიოლერს (გფრ), რომელიც პროგრამის ორივე სახეობაში თანაბრად ძლიერია, მაგრამ უპირატესობას მაინც ხტომას ანიჭებს, ა. კელენს (შვეიცარია), რომელიც, როგორც წესი, ძლიერია რბოლაში, რ. პოლანდსა (გდრ) და გ. პაიროტს (საფრანგეთი) — ახალგაზრდა, ნიჭიერ ორჭიდელებს. რა თქმა უნდა, მოსალოდნელია მოულოდნელობაც, განსაკუთრებით, ნაკლებად ცნობილი სპორტსმენებისგან

— პროგნოზი მკითხაობაა, — ამბობს დასასრულს ე. რუდკოვსკი, — და არც მსურს წინასწარ ლაპარაკი. შემიძლია ვთქვა მხოლოდ ის, რომ გრენობლში ბრძოლა დაძაბული, შეურიგებელი იქნება და ოლიმპიური ტურნირი უძლიერესებს თვითონ დაასახელებს.

საბჭოთა სპორტსმენების პროგრამა-მაქსიმუმია ინსბრუკის ოლიმპიადაში მოპოვებულ წარმატებას არაფერი დავაკლოთ.

ვ. ოლშევსკი.



90-მეტრიანი ტრამპლინი სენტ-ნიზიერი სამი ქალწულის მთის მისადგომებთან.

# გულითადად მოგესალმებით, მეგობრებო!

„ლელოს“ ინტერვიუ



პ. ლიუკო.
მეგობრული შარჟი რ. ჯაშისა.

„ლელოს“ თანამშრომელი თ. გიორგაძე შეხვდა ი. კუპერმან — ა. ანდრეიკოს მატჩის მთავარ არბიტრს, შაშის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურ მდივანს პიერ ლიუკოს (საფრანგეთი) და სთხოვა რამდენიმე შეკითხვაზე ეპასუხა:

● ბოლო ათი წელია მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი საბჭოთა მოშაშეებს ეკუთვნით. რით ხსნით ამას?

— თქვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება ეთმობა სპორტის ინტელექტუალურ სახეობებს გარდა იმისა, რომ შეჯიბრებები ტარდება, მათს ასათვისებლად მუშავდება მეცნიერული მეთოდიკა. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ხელს უწყობს შაშის განვითარებასაც.

საბჭოთა მოშაშეების სიძლიერეს, ჩემი აზრით, ისიც განაპირობებს, რომ რუსეთში შაშს დიდი ტრადიციები აქვს. ამ მემკვიდრეობაზე აღზრდილნი ასუჯრიან შაშშიც საუკეთესონი აღმოჩდნენ. ამიტომ არავის უკვირს, რომ მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინმა სსრ კავშირში დაიდო ბინა.

● რა ადგილი უჭირავს შაშს საფრანგეთში. ვინ არის თქვენი უძლიერესი მოშაშე?

— ჩვენში შაში ძალიან პოპულარული იყო შუა საუკუნეებში. იგი ახლაც გავრცელებულია, მაგრამ უფრო გასართობის სახით. ამჟამად საფრანგეთში შაშის რამდენიმე კლუბია, მაგრამ ჭადრაკს მეტი მოყვარული ჰყავს. ჩვენი საუკეთესო მოშაშენი არიან: საფრანგეთის შეიდგზის ჩემპიონი, დიდოსტატი მ. იზარი, ოსტატები გ. მალფრედი, საფრანგეთის ორგზის ჩემპიონი ჟ. მოსტოვოი, ა. დიუბონი და სხვ.

● ძირითადად რა საქმიანობას ეწევა შაშის საერთაშორისო ფედერაცია?

— ფედერაცია ხელს უწყობს შაშის გავრცელებას მსოფლიოში, ამუშავებს თამაშის წესებს, აწყობს მატჩებს, ტურნირებს, აჯილდოებს და მაღალ ტიტულებს ანიჭებს გამოჩენილ მოშაშეებს. მისი მოღვაწეობის ძირითადი მიზანია მეგობრული კავშირის განმტკიცება ყველა ქვეყნის მოშაშეთა შორის.

● აქვს თუ არა საერთაშორისო ფედერაციას თავისი ბეჭდვითი ორგანო?

— როგორ არა. ესაა გაზეთი „ანალ მონდიალი“, რომელიც ჩვენი ფედერაციის ყველა წევრს ეგზავნება.

● სხვა ქვეყნებში თუ გამოდის შაშის გაზეთი ან ჟურნალი?

— ჟურნალები გამოდის საფრანგეთში, ავსტრალიაში, ბელგიაში, კანადაში. ჰოლანდიაში გაზეთებსაც ბეჭდავენ. საბჭოთა მოშაშეების ჟურნალი „შაშკი“ რიგაში გამოდის.

● ვინ მიგაჩნიათ ყველა დროის ყველაზე დიდ მოშაშედ?

— ერთი საუკეთესო მოშაშის გამოყოფა შეუძლებელია.

● მაშინ ათი უძლიერესი თანამედროვე მოშაშე დაგვისახელეთ.

— ქეთილი მსოფლიო ჩემპიონები: ფრანგი ისიდორე ვეისი, ჰოლანდიელები ბენედიქტო შპრინგერი, პიტ როზენბურგი, კანადელი მარსელ დელორიე, კიეველი ისერ კუპერმანი, მოსკოველი ვიაჩესლავ შჩოგოლევი, დიდოსტატები: ჰოლანდიელები — ევროპის ჩემპიონი ალფრედ მოლიმარი, ჟაკ დე ასი, ცამეტგზის ჩემპიონი კელერი და რიგელი ანდრის ანდრეიკო.

● რა არის ჰოლანდიაში შაშის ესოდენ დიდი პოპულარობის მიზეზი?

— ჰოლანდიელებმა შაში ეროვნულ თამაშად აქციეს და მას სკოლებშიც კი ასწავლიან. ამ თამაშის პოპულარობას ხელს უწყობს მთავრობა, რომელიც მატერიალურად ეხმარება შაშის ფედერაციას. ჰოლანდიაში ძალიან ბევრი ოსტატი თავის ჟურნალსაც კი უშვებს და ახალგაზრდობას აყვარებს შაშს.

● თქვენ თუ თამაშობდით შაშს და რა წოდება გაქვთ?

— მე მრავალი წლის მანძილზე ვმუშაობდი საფრანგეთის რკინიგზაზე ერთ-ერთი განყოფილების უფროსად (ახლა პენსიონერი ვარ) და როცა დრო მრჩებოდა, სიამოვნებით ვმონაწილეობდი შეჯიბრებებში. მაგალითად, 30-ან წლებში ვთამაშობდი პარიზის პირველობებში. ოსტატის წოდება არა მაქვს. 1936 წლიდან ვმუშაობდი საფრანგეთის შაშის ფედერაციაში, ხოლო მსოფლიო ფედერაციის ჩამოყალიბების დღიდან (1947 წ.) მისი უცვლელი გენერალური მდივანი ვარ.

● მგონი საქართველოში პირველად ბრძანდებით. რა ნახეთ, რა მოგეწონათ?

— თქვენში პირველად ვარ. დავათვალიერე თბილისის ღირსშესანიშნაობანი, ვიყავი გორში, ვნახე ი. სტალინის სახლ-მუზეუმი. საქართველოს ბუნებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მცხეთაში ვეწვიე ყვავილების ჯადოქარს შამულაშვილს. ძალიან მომეწონა სვეტიცხოველი.

● საქართველოს სპორტსმენებზე ან მოშაშეებზე თუ გსმენიათ რაიმე?

— მოშაშეებზე არაფერი. ისინი მხოლოდ აქ, თბილისში გავიცანი. ქართველ სპორტსმენებზე ბევრი მსმენია და სარბიელზეც მინახავს ისინი. ამას წინათ პარიზში თბილისელი ხელბურთელების თამაშს ვუყურე, უფრო ადრე კი თქვენი მოჭიდავეები ვნახე.

თქვენი ნებართვით მსურს ამ ახალ წელიწადს დიდი წარმატებები, ბედნიერება და ჯანმრთელობა ვუსურვო საბჭოთა მოშაშეებს. გულითადად მივესალმები თბილისელებს, ამ მატჩის ორგანიზატორებს და ჩემს მეგობრებს — ქართული სპორტის მესვეურებს.



თბილისი 1-29-I 1968წ.

## ჰუჰენ...

შედგა ი. კუპერმან — ა. ანდრეიკოს მატჩის VIII პარტია. კუპერმანმა (შავებით) აქამდე უცნობი სადებიუტო სისტემა გამოიყენა, მაგრამ რიგელი დიდოსტატი ღრმად ჩაწვდა პოზიციას და თანმიმდევრულად გაამარტივა თამაში. 50-ე სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად, 8 პარტიის შემდეგ ანგარიშია 4 : 4. დღეს გაიმართება IX პარტია.

## ყოველ საღამოს — ორი სეანსი

ბევრი თბილისელი ესწრება ი. კუპერმან — ა ანდრეიკოს მატჩს. კლუბის ერთ-ერთ დარბაზში მაყურებელთათვის ეწყობა ერთდროული თამაშის სეანსები აი, ამ სეანსების შედეგებიც:

რიგელი ოსტატი ე. მერინი 19 კაცს ეთამაშა 14 პარტია მოიგო, 1 (ი. სპესივცევთან) წააგო და 4 (კასპელ გ. კანდელაკთან, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტ ა. ჩარგეიშვილთან, ქუთაისელ დ. შალამბერიძესთან, ფოთელ ო. ზენაიშვილთან) ყაიმით დაამთავრა.

უკეთ ითამაშა მერინის თანაქალაქელმა, ოსტატმა ვ. აგრანოვმა: 12-კაციან სეანსში 11 პარტია მოიგო და 1 (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტ ა. სამიაშვილთან) ყაიმით დაამთავრა.

საერთაშორისო ოსტატმა ბ. შკიტკინმა (მოსკოვი) სეანსი 12 დაფაზე ჩაატარა მან 9 პარტია მოიგო და 3 (თბილისის № 7 პურის ქარხნის მუშა გ. მინასიანთან, ა. ჩარგეიშვილთან და ბათუმის მექანიკური ქარხნის წარმომადგენელ ო. ბასილაძესთან) ყაიმით დაამთავრა.

თბილისელი ოსტატი თ ბარამიძე 12 მოშაშეს ეთამაშა. თამაშმა 8 პარტია მოიგო, 2 (გ. მინასიანსა და მოსწავლე ბ. შავერდიანთან) წააგო და ამდენივე (გეოლოგ ი ბახუტაშვილთან და საქართველოს ფილარმონიის წარმომადგენელ ა. გალიონდიანთან) ყაიმით დაამთავრა.

ვ. გოროდეცკის (მოსკოვი) ერთდროული თამაშის სეანსი 12 დაფაზე თითქმის ორ საათს გაგრძელდა. დიდოსტატმა 9 პარტია მოიგო, 1 (ვ. კანდელაკთან) წააგო და ორ (ა. ჩარგეიშვილსა და თბილისის ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელ ვ. კარპუხინთან) პარტიაში ყაიმს დასჯერდა.

საგრძნობლად გაიზარდა გულშემატკივართა ინტერესი ოსტატთა სეანსებისადმი. მატჩის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს ყოველ საღამოს ორი სეანსის ჩატარება

თ. ნინოშვილი.



ამ სურათზე საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ცხოვრების მხოლოდ ერთი ფრაგმენტია აღბეჭდილი — მიმდინარეობს II კურსის სტუდენტთა პრაქტიკული მეცადინეობა. ტანვარჯიშის კათედრის უფროსი მასწავლებლის, სპორტის ოსტატ ს. ბალიაშვილის ხელმძღვანელობით ტაიჭზე ვარჯიშობს სტუდენტი ვ. ტყაბლაძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## გუნდში თამაშობს... დირექტორი

საკუთარი კორესპონდენტი

მესხეთის სიამაყეს უწოდებენ ელექტროძრავების ქარხანას, რომლის ახალგაზრდული კოლექტივი სამაგალითოდ დაასახელეს კომკავშირის ახალციხის 22-ე რაიონულ კონფერენციაზე. შრომაში მოწინავე საწარმო სპორტშიც ერთ-ერთი სანიმუშოა რაიონში.

... ჩვეულებრივი დღე იყო. საამქროში დაზგები გუგუნებდნენ — მეორე ცვლამ საქმე ჩაიბარა, პირველი ცვლის მუშებს ახლა წითელ კუთხეში მოეყარათ თავი ჭადრაკის სათამაშოდ. ხარატი ვ. ჟირნოვი თამაშს ინტერესით ადევნებდა თვალს. მსაჯიაო, — გვაცნობა ფიზკულტურის ინსტრუქტორმა პ. ნადირაძემ. მექანიკოს ო. ქიმერიძეს და საამქროს უფროსს. პ. მავლენიშვილს მართლაც საინტერესო ბრძოლა გაემართათ.

... დირექტორთან თათბირი დამთავრდა. კაბინეტში შესვლისთანავე ჩვენი ყურადღება ერთმა თასმა მიიპყრო.

— მეშახტეთა დღის სამახსოვროა, ჩვენმა ფრენბურთელებმა მოიპოვეს ტრადიციულ პირველობაში, — გვითხრა დირექტორმა ბ. გასპარაშვილმა.

ეს ახალგაზრდა კაცი დიდი სიყვარულით ლაპარაკობს ფიზიკურ კულტურაზე. ქარხნის დირექცია ყურადღებას არ აკლებს სპორტსმენებს, მუდამ დიდი ინტერესით ტარდება სხვადასხვა შიდასაკოლექტივო პირველობა. ქარხანაში ერთი შეჯიბრება არ გაიმართება, დირექტორი მონაწილე რომ არ იყოს, ან გულშემატკივარი. აი, მაგალითიც: ფრენბურთელთა შიდასაკოლექტივო ასპარეზობას ერთხელ წვიმიანი დარი დაუდგა. ყველამ ინჟინერ-ტექნიკოსთა გუნდისთავს — ქარხნის დირექტორს გადახედა. მანაც არ დაიყოვნა, პირველი გავიდა მოედანზე და ასპარეზობაც დაიწყო.

ამ მზრუნველობას ნაყოფიც კარგი მოაქვს. მღარავი ვ. ჩიტაშვილი ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ჩემპიონია ქართულ ჭიდაობაში. ელექტროზეინკალი ე. კუზნეცოვი 13 წელია რაიონის ფრენბურთელთა ნაკრებ გუნდში თამაშობს, სადაც მასთან ერთად გამოდის მოწინავე ხარატი მ. ზედგინიძე. ფრენბურთელთა გუნდი კი „განთიადის“ რაისაბჭოს ჩემპიონი და თასის მფლობელია.

ელექტროძრავების ქარხანაში არც მასობრივ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს ივიწყებენ. სისტემატურად ეწყობა შეჯიბრებები საშუალო და უფროსი ასაკის მუშა-მოსამსახურეებისთვის. მათთვის შექმნილია თევზჭერისა და ნადირობის ჯგუფებიც. სხვათა შორის, აქაურმა ფიზკულტურულმა კოლექტივმა ითავა და დანერგა კიდეც რიკაობა. საწარმოს საკუთარი ბაზები აქვს, რაც ხელს უწყობს სექციების მუშაობას. რომლებსაც ხელმძღვანელობენ ხარატები ქ. ხითაროვი, მ. ზედგინიძე, ვ. ზაზაძე, ინჟინერი ა. ახობაძე და სხვ.

ელექტროძრავების ქარხნის ფიზკულტურულ კოლექტივს (უფრო ზუსტად: ფიზკულტურის ინსტრუქტორ პ. ნადირაძეს), ერთი რამ უნდა ვუსაყვედუროთ: აუცილებელი დოკუმენტაცია უწესრიგოდაა.

თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ვალე,
ახალციხის რაიონი.

## წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **ქართულ ჭიდაობაში** — გ. ოთარაშვილს (კასპი); **ფეხბურთში** — ნ. ტატინაშვილს, ი. მჭედლიშვილს, ვ. მიმინოშვილს, ა. ჯანანაშვილს, ი. კუნჩინს (ყველა — თბილისი). ა. იზრაილაშვილს (ფოთი), ო. ჩიქობავას (ცხაკაია); **კრივში** — რ. ბასილიას (ბათუმი); **ფრენბურთში** — გ. ზაცარნის (რუსთავი); **ტანვარჯიშში** — ო. ზვიადაძეს (თბილისი); **სამბოში** — ლ. კაცაიაშვილს (კასპი); **წყალბურთში** — რ. ხუნწარიას (თბილისი); **კომპლექსურ სახეობებში** — ა. კორინთელს (თბილისი); **ტყვიის სროლაში** — ვ. ხუბულურს (თბილისი); **შაშში** — ო. ხუხუნს (ფოთი); **ველოსპორტში** — ი. გრებენიკოვს (თბილისი); **თანამედროვე ხუთჭიდში** — ლ. სალუქვაძეს (თბილისი).

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით საქართველოს სსრ სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **ლელობურთში** — შ. მესხიშვილს, ლ. აბრამიშვილს, ი. ნადაშვილს, ო. ქურთიაშვილს, ს. ქურთიაშვილს, მ. სამადაშვილს, შ. ბანაშვილს, მ. დურელიშვილს, გ. ვარდიაშვილს, თ. ბერიძიშვილს, თ. აბრამიშვილს, ა. ცანკაშვილს, დ. ნაცვლიშვილს, ნ. ყალაბეგაშვილს (ყველა — გურჯაანის „კოლმეურნე“), ი. ტულუშს, დ. ღლონტს, ნ. ბუბუტეიშვილს (სამივე — ბათუმის „ვოდნიკი“), დ. ზოიძეს, ვ. ლომინაშვილს (ორივე — ბათუმის „ბურევესტნიკი“), ა. პაპიაშვილს (ბათუმის „სპარტაკი“), ნ. შანიძეს (ბათუმის „განთიადი“); **ქართულ ჭიდაობაში** — ა. ცოფურაშვილს (გარდაბნის „კოლმეურნე“).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

**16 იანვარს**

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში (ჭავჭავაძის პრ. № 49) შედგება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სხდომა.

დღის წესრიგი:

1. საანგარიშო მოხსენება (მომხსენებელი გ. ჯინჭარაძე).
2. არჩევნები.

დასაწყისი 17 საათზე.

რესპუბლიკის სპორტკავშირი და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია იუწყებიან საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს წევრის

ეთერ არტემის ასულ სალუქვაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448 საქ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი ლენინის ქ. № 14. 8 უე 07311